

ნაციალიზმის ტი

შაბათი 1920 წ. 2

ნაციონალური და პარტიული პოლიტიკის ორგანო

№ 3 10 მან.

მისამართი:

რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქციის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა:

წლის დამლევაში — 7 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვის ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი

მიიღება ნაშუადღევს 2 საათამდე. სტრიქონიჭებით
1 გვერდზე — 15 მან. 2-4 გვერდზე — 10 მან. სამგლოვიარო
განცხადება 30 სტრიქონი — 300 მან.

პარტიული კლუბი

კვირა, 3 ოქტომბერს 1920 წელს დღას 12 საათზე დანიშნულია
ქართულ კლუბის დარბაზში

წევრების საგანგებო და სპეციალური კრება

1. 1920—21 წლის წლის სტიმენდების განახლება
2. კლუბის წევრთა და და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები.
3. მიმდინარე საკითხები.

შენიშვნა: კლუბის წესდების მე-31 მუხლის ძალიან კრება კანონი
ერთ ჩივილებზე, რაც შეიძლება რიცხვი არ გამოცხადდეს.
(2-1)

შავი ქვის მრეწველთა საბჭო აცხადებს კონკურსს

საბჭოს ყოფილ თავმჯდომარის მ. ზღანოვიძის სახელობას

სახლის სახლის

საეკონომიკო პროექტის შესაღწევად

სახლის აგება განზრახულია ქიათურაში ქიათურის შავი ქვის საექსპორტო
საზოგადოების „ჩემის“ ხარჯით.

შედარებით უკეთეს პროექტისათვის საერთო ჯამიდან 300,000 მანეთი-
დან მიცემული იქნება სამი პრემია:

- 1 პრემია 125,000 მან.
- 2 „ 100,000 მან.
- 3 „ 75,000 მან.

პროექტების წარმოდგენის ვადა 1921 წლის იანვრის 20 არის.

კონკურსის პირობებისა და დაწერილებით პროგრამის მიღება შეიძლება
ყოველ დღე ოქტომბრის 15-მდე საბჭოს ბინაზე თბილისში, რუსთაველის პროს-
პექტზე, № 13, დღის 11-დან 12 საათამდე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.
(2-1)

გლახთა სასურველად დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

ცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის
მეურნეობის განვითარებას ყოველგვარ საერთო-სახალხო-საპროდუ-
ქციულ (ადგილ მამულის, ურსათის, ეკონომიკის, სკოლის, გადასახადების
და სხვა საქმეებს) უფრო დასაქმავად დასთანადო დაწესი-
ლებით.

ყოველგვარი ცნობები, უსაფრთხოება და სხვა სახის მიიღება
თბილისში „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. № 8

პრო ინსტიტუტ დელეგატთა სურვილისამებრ პარტიის
კონფერენცია გადართვ. და შესაძლებელია 23 ოქტომბერს
(ძველი სტილით 10 დღისგანსთავს)

საქართველოში

ნაციონალური პარტიის პირველი

კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (დღისგანსთავს 10 მან. სტ.)

დღის წესრიგი:

- I. შიდა-კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
- II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
- III. სამართ. მოხსენებანი (დელეგატების).
- IV. საერთო და საპარლამენტო არჩევნების საშუალებების.
- V. არჩევნები შიდა-კომიტეტისა
- VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელ
ნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალბანები განაწილებულა მხარეებს შო-
რის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით
(ასზე-ერთი)

შავი კომიტ. პრეზიდიუმი

განათლებლების სივრცის ნიშვნა

სივრცელე უნდა ითქვას, რომ
მართა მენშევიკები კა არ ტრაბა-
ხოტენ და უწოდებენ თავიანთ პო-
ლიტიკას, ბრძნულ პოლიტიკას არიან
ისეთი გულუბრყვილონიც, რომ
მელნიც ქებათა-ქებას უძღვნიან მათ
და ამავ უდასტურებენ.

შვრე რაში იხატება მართველი
პარტიის ბრძნული პოლიტიკა, ამ
პოლიტიკის უფარა შედეგები? ალ-
ბად, იმაში რომ მელიქ აზარიან კებს
აიძულებენ თავიანთი უძრავი ქონე-
ბა სომხეთს უძღვნიან.

ლიახ, ის შავალითი რომ მელიქ
აზარიანცმა (ოლღას) 26 მაისის ქუ-
ჩაზე გამოკრული მშენიერი დიდი
სახლი სომხეთს მიართვა საჩუქრად
და ამით დაიხსნა ქართველ მენშე-
ვიკების რეკვიზიციისაგან ბევრს რა-
სმე გვეუბნება. თუ ამ გზით განა-
გრძენ სიარული და სახელმწიფოს
„შენება“ ჩვენი რესპუბლიკის მე-

სვეურებმა, იგინი შორს ვერსად წა-
ელენ და მოხდება ის, რომ ყველა
შეძლებული არა ქართველი თავის
ქონებას გადასცემა იმას, ვისაც ვე-
ლარ გამოვლადება ჩვენი მთავრობა
რომელიც ბოლოს ალბათ დაინა-
ხავს, რომ საქართველოს ტე-
რიტორიაზე დიდძალი ქონება უც-
ხოვლებსა შეიქნება.

სომხები, თათრები თუ სხვა არა
ქართველები, თუნდაც საქართვე-
ლოს ქვეყნის დონე ქართველი თა-
ვად აზნაურობა ხომ არ არის რომ
ჩუათ და უსიტყვოთ შეურიგდეს
შაქლის უფასოთ, ან თითქმის
უფასოდ ჩაპრობივებს?

ჩვენ მენშევიკებს ალბათ ამ რე-
კვიზიციების ჩვენება უნდათ რუს
მუშებისთვის, რომლებსაც ვვრე
დაგვიანებით ეპატივებინან.

როგორც ვიცით, საბჭოთა რუ-
სეთმა არ მიიღო და არ შეუშვა სა-
ქართველოს მუშათა დელეგაცია
რუსეთში.

ამის შექდეგ მაინც გააუწევით

წინადადება მისცენ რუს. პროფ.
კავშ. ცენტრ. საბჭოს გამოკვანონ
საქართველოში დელეგაცია პროლე-
ტარიატის საქმიანობის გასაცნობათ
და ურთიერთშორის დამოკიდებუ-
ლების აღსადგენათ.

ესეც, ალბათ, ბრძნული პოლი-
ტიკის შედეგია, მაგრამ სადღა თავ-
მოყვარეობა ამაყ ქართველ მენშე-
ვიკებისა?

მ. იშხნელი.

კუთხისის პროვის ბიუროკრატია

რეგულირება და დემოკრატობა
ძველადაც იყო: ისტორიის იყოს მა-
გალითი დიდი დემოკრატობისა,
ხალხის პატივისცემისა და გულწრფე-
ლი საყვარულისა.

რომში შავალითად ხალხის წარ-
მომადგენლების კარები მუდამ, დღე
და ღამე ღია იყო, რათა ხალხს ყო-
ველთვის შეეძლოთ საშუალება თავი-
სუფლად და თავიანთ მისულიყო თა-

ვის წარმომადგენელთან და თავის
ინტერესების დამკველთან.

რომელი ტრიბუნი მართლა ხალ-
ხის წარმომადგენელი და ხალხის ინ-
ტერესების დამკველი იყო: დღე და
ღამე ის ხალხს, ვის ვეუფნოდა;
ხალხს, ვის (და არა ვითი შუქა
პროლეტარიატის) სევდა და ტანჯვა
მას აწუხებდა; ყოველ რომელი მო-
ქალაქის უფლები შექონდა, როდესაც
მას დასჭირდებოდა, ტრიბუნთან შე-
სულიყო თხოვნისათვის და მოალა-
პარაკებოდა ხალხსნური, რესპუბ-
ლიკანური წესწყობილების სიკეთეს
გრძნობდა რომელი მოქალაქე.

დღეს თავისუფალსა და „დემო-
კრატულ“ საქართველოში უკიდუ-
რესი და ტლანქი ბიუროკრატია
გამეფებულია: კუთხისის სამართ-
ეობის თავმჯდომარის კარებზე აწე-
ლობს 12 საათიდან 2 საათ. და
ისიც მხოლოდ მდივნის საშუალე-
ბით.

ჯერ ეს ერთი რას ნიშნავს „მდე-

ნის საშუალებები? — როგორც ამბობენ, თურმე მდივანს უნდა მოუყვებოდა ის, რაც გაქვს სათქმელი თავმჯდომარისათვის და თუ საჭიროდ და სასურველად დაინახა მდივანმა, შევიშობენ თავმჯდომარესთან, თუ არადა ათი დღე რომ კარგებთან იდგე, თავმჯდომარის ნახვას ვერ ეღიროს. თავმჯდომარე თურმე ეროტიულ აღზნებულეა და თითქმის მთელი დღე თავის საცოლოსთან დროს ატარებს იქვე ერობის გამგეობის „რეზიდენციაში“ (ერობის თავმჯდომარის საცოლო ერობაში მსახურობს). რა „დემოკრატიული“ სურათია? — ერობის თავმჯდომარე დემოკრატიულ სახელმწიფოში მთხოვნელებს მხოლოდ 12—2 საათი იღებს, და ამ დროსაც ის საარშინო საცოლოსთან მიდის; სოფლებიდან ჩამოსული გლეხები, დაქანცული, დაღლილი, ტალახსა და მტვერში გახვეული თხოვნებით კარგებთან იცდიან რამოდენიმე საათი. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მათ ელაპარაკებიან: დღეს თავმჯდომარე აღარ იღებს, ხვალ მოდიეთო.

თავმჯდომარე ამ დროს საცოლოსთან ნერვების დიონისურ ატალებას განიცდის, რომანტიზმის სანტიმანებში ბანაობს და ხალგაობა იშლება აღმოსავლეთურ ოცნებაში. მართალია, ისტორიაში მგრძობელობის ხალხი იყო ძველად, ბევრი იყო, მაგრამ ვერ თავშეკავებულად მგონია არც ერთი სპარსეთის შინი არ იქცეოდა თავის ხალხთან. ამბობენ, ერობის თავმჯდომარე მალე ჯვარს დაიწვრსო, — ამერთმაქნას, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯვარის წერაც არ უშველს: უკულტურო ხალხში უზნეობის კულტი უკრაილიერია, ვიდრე სახელმწიფოს პატივისცემა და ერთგულობის სურვილი.

პროვინციელი.

პრესა.

მეფეველობა საქართველოში

„ერთობაში“ აღ. ლეგატივე სწერს სახელმწიფო და კერძო მრეწველობის შესახებ და შემდეგ ცნობას იძლევა:

„სულ ჩვენს რესპუბლიკაში 2456 სამრეწველო დაწესებულებაა.

ამ რიცხვიდან:

1) კერძო პირების ხელშია — 492.

2) სახელმწიფოს ხელშია — 716.

3) საზოგადოებრივ ორგანიზაცი. (ერობის, თვითმართვ. და სხვებ.) — 1248.

ამაირათ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ხელშია 716 x 1248 — 1964, რომელიც შეადგენს 79,97% კერძო პირთა ხელში კი 20,03%.

სამრეწველო დარგში მუშაობს სულ 50.857 მუშა.

ამ რიცხვიდან:

1) სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებებში — 31.028.

2) საზოგადო ორგანიზაციით საწ. დაწესებ. — 14.331.

3) კერძო პირთა საწ. დაწესებ. — 5.498.

პროცენტებით გამოვა:

1) კერძო საწარმ. დაწ. მუშაობს 10,81%.

2) სახელმწიფო და საზოგადო. ორგ. მუშაობს — 89,19%.

ამაირათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ხელშია 79,97% სამრეწველო დაწესებულებათა რომელშიაც მუშაობს 89,19% სამრეწველო მუშებისა.

კერძო პირთა ხელში 20,2% სამრეწ. დაწესებ. რომელშიაც მუშაობს სამრეწველო მუშების 10,81%.

საბერძნეთი და საქართველო

გაზ. „ელეფთეროს პანტოს“ № 119 მეთაურ წერილში სხვათა შორის სწერს: საქართველო, რომელიც ცნობილი იყო თავის სახელმწიფოებრივ მოწყობით 1801 წლამდე, 1801 წ. რუსეთის ვერაგობით ჰკარგავს თავის დამოუკიდებლობას, 1918 წ. ქართველი ისევ აღსდგა მკვდრებიდან, განაახლა ეროვნული თვითმართვობა და მოეწყო დემოკრატიული საფუძვლებზე საქართველო კულტურული და სამართლიანი ქვეყანა, რომლის თანაგრძობა და დახმარება ყველა გაქარვებულ ერებისადმი ცნობილია. პანტოს ბეჩინები არასდროს არ დაივიწყებენ იმ აბილ მოპყრობას, რომელიც ვათ შეიხვედრეს საქართველოში.

გაზეთი აუცილებლად სთვლის საქართველოს და საბერძნეთის დაახლოვებას, როგორც ძველად ნაცონობ კულტურულ ქვეყნებისას. გაზეთი საბერძნეთისთვის მოვალეობათ სთვლის საქართველოს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საერთო მტრებთან ბრძოლაში.

ვაღდეს ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადააქვს თან საქონელი და ყიდოს მას მომატებულ ფასებში. სხვები თავის პირადი შრომით აწარმოებენ სპეკულიაციას, ასრულებენ რა სხვა და სხვა სამუშაოს. სპეკულიაციის მოსპობა მუშებში ძნელი საქმეა.

ქვემოთ ფაშას ავადმყოფობა კონსტანტინოპოლი. 25 სექტ. „სტამბოლი“ იუწყება: მუსტაფა ქემალი მძიმეთ ავად გახდა საქაროებს ოპერაციას. ექიმები ამბობენ, რომ ოპერაციის გართულება მოჰყვება.

რუსული ოქრო. ლონდონი. ოქტომბრის 1. (რადიო) „ტაიპის“ ფინანსიურ საკითხების კორესპონდენტი აფრახილებს იმ ინგლისს ფირმებს, რომლებსაც სურთ საბჭოთა რუსეთთან საგაქრო დამოკიდებულება დაავიკონ და ინგლისის საქონელში ბოლშევიკებისაგან ოქრო მიიღონ. შევციის მაგალითმა გვაჩვენა, რომ ამ ოქროში გარეულია ვისმუტი და სხვა ნივთიერება, რომელიც ოქროს 18 პროცენტით უკარგავს ღირებულებას.

ბენია ჩხიკვიშვილი ბ-ნ ბენია ჩხიკვიშვილს, როგორც ამბობენ, სახელმწიფო მინისტრის პორტფელს აბარებენ.

კაუცკი კაუცკი მალიარიით გამხდარა ავად.

კაუცკი თბილისში სექტემბრის 30, საღამოს 6 საათ. თბილისში ჩამოვიდა კარლ კაუცკი მეუღლით. სტუმრის დასახვედრად სადგურზე მოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მთვალეობის აღმასრულებელი კ. საბახტარიშვილი, დამფუძნებელ კრების

თავმჯდომარის ამხანაგი აღ. ლომთაიძე, დამფუძნებელი კრების წევრები და სხვ. სწორედ 6 საათზე მოვიდა მატარებელი, იგონში კაუცკისთან შევიდა ნ. ჟორდანი, რამდენიმე წუთის შემდეგ ნ. ჟორდანი და კ. კაუცკი ბაქანზე გამოვიდნენ. შეხვედრას მეტად ინტიმური ხასიათი ჰქონდა. კ. კაუცკიმ და ნ. ჟორდანიამ გადაკოცნეს ერთმანეთი. კაუცკი დამხდურთ ქართულად შეესალმა. სადგურიდან კაუცკი იფუტლესთან ერთად დანიშნულ ბინაზე გაემგზავრა.

ახალი გადასახადები ფინანსთა სამინისტრო ახალ გადასახადს აწესებს, პროგრესიულ შემოსავლის კვლობაზე.

ყაჩაღები 27 ამა სექტემბერს, საღამოს, დავით გარეჯის მონასტრის ცხენოსან რაზმის სამილიციონეროს მოუხდა სროლა მონასტრიდან 2—3 ვერსის მანძილზე ჩასაფრებულ თათრებთან რომლის დროს მოკლული იქნა რაზმის მილიციელი დავით ბართაია.

ნაფიც მსაჯულთა სიები შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ერობათა და ქალაქთა თვითმართვებობებს შემდეგი შინაარსის ცირკულიარი დაუგზავნა: თანახმად არსებულ კანონისა ერობათა და ქალაქთა თვითმართვებობაში ვალდებულნი არიან წარუდგინონ საოლქო სასამართლოში ყოველ წლიურად არა უგვიანეს პირველ ივნისისა ნაფიც მსაჯულთა საერთო სიები. მიუხედავად ამისა, როგორც იუსტიციის სამინისტრო იტყობინება, თვითმართვებობებს აქამდის არ შეუსრულებიათ აღნიშნული კანონი მოთხოვნილება. გატყობინებთ რა ამას წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ყოველივე თქვენგან დამოკიდებული ზომები, რათა დაუყონებლივ შეუდგნენ და წარდგინონ იქნას საოლქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა საერთო სიები.

სომხების ავტონომია საქართველოში სომხთა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა შეადგინოს განსაკუთრებული მოხსენება და წარადგინოს სა-

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთი ბოლშევიკურ რუსეთთან ომისათვის ემზადება.

საფრანგეთის ფლოტი შავ ზღვაში მიდის.

ფრანგებს უნდათ ადგეს დამკავან და ვრანგელთან ერთად უკანაინა მოსკოვს რუსეთს.

ფრანგი გენერალი ვეიგანდი, რომელიც პოლონეთს ეხმარებოდა, ვრანგელთან მიდის.

ბოლშევიკები პოლონეთის ყველა საზავო მოთხოვნილებაზე თანხმდებიან, გარდა წითელი არმიის დემობილიზაციისა.

ვრანგელმა მარიუპოლი აიღო.

რეზიდენტმა დაამარცხეს სომხები და ალყა შეოადრყეს სარაყამიშს.

სომხის ჯარებმა დასცადეს ოლთისისა და არტანის ოლქები.

უცხოეთის ღვაწები

პოლონეთის გამარჯვება.

პოლონელებმა გამარჯვებულ ლიდის და ბაგრაჩის (?) ახლოს და ტყვეთ წაიყვანეს 12,000 კაცი. პოლონიაში (?) პოლონელებმა ტყვეთ წაიყვანეს 3,000 ტყვე და დაამარცხეს მე-4 საბჭოთა არმია.

საერთაშორისო ბანკი.

შვეიცარიის ბანკრთა წრემ წინადადება შეიტანა ბრიუსელის კონფერენციაზე შექმნან საერთაშორისო ბანკი.

იტალია.

„ტანის“ კორესპონდენტი რომიდან დეპეშით იუწყება: იტალიის უნდობლობა მკაფი ანტანტისადმი არ გაქარწყლდა მიუხედავად იონესკუს რომში წასვლისა.

ბრიუსელის კონფერენცია.

ბრიუსელის კონფერენციაზე ბელგიისა და ინგლისის დელეგატების შემდეგ ილაპარაკა ამერიკის ოფიციალურმა დელეგატებმა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ამერიკა დაინტერესებულია საერთაშორისო ფინანსიურ სოლიდარობით. „მატენის“ ცნობით ამერიკის დელეგატები მომხრე იყვნენ ეკონომიურ საკითხებში დამარცხებულთა და გამარჯვებულთა შორიგებისა.

ბრიუსელის კონფერენციაზე მონისინეს ამერიკის, გერმანიის და ავსტრიის წარმომადგენელთა მოხსენებანი.

სპეკულიაცია რუსეთის მუშებში

არსკი „იზვესტიაში“ სწერს: პროფ. კავშირების ახალ ამოცანას სპეკულიაციასთან ბრძოლა შეადგენს სპეკულიაცია მეტად გადამდებია ახლა იგი გადავიდა მუშებში, ყოველ შემთხვევაში მუშების ერთ კატეგორიაში. პირველ რიგში სპეკულიაციას აწარმოებენ გემზე მომუშავენი, შემდეგ რკინის გზელები, ფოსტის მოსამსახურენი. და დასასრულს სახალხო მეურნეობაში მომუშავენი დანარჩენი მუშები. სპეკულიაციის ორგვარი ხასიათი აქვს. ერთ ჯგუფს, რომელსაც აქვს შეძლება გადა-

ქრონიკა.

ბენია ჩხიკვიშვილი

ბ-ნ ბენია ჩხიკვიშვილს, როგორც ამბობენ, სახელმწიფო მინისტრის პორტფელს აბარებენ.

კაუცკი

კაუცკი მალიარიით გამხდარა ავად.

კაუცკი თბილისში

სექტემბრის 30, საღამოს 6 საათ. თბილისში ჩამოვიდა კარლ კაუცკი მეუღლით. სტუმრის დასახვედრად სადგურზე მოვიდა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მთვალეობის აღმასრულებელი კ. საბახტარიშვილი, დამფუძნებელ კრების

ქართველთა მთავრობას საქართველოში სომხეთის მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებაში დაწვრილებით გართული იქნება სომხეთის ავტონომიისა და სასკოლო ავტონომიის საკითხები: ეს მოხსენება წარედგინება დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და ყველა საერო და საქალაქო თვითმმართველობას. მოხსენების შედგენა მიენდო განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიც ყველა ფრაქციის წარმომადგენელი შედის.

სომხები ლტოლვილები.
სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა სთხოვა საქართველოს მთავრობას, რომ მან გაატაროს საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო წესით სომხები-ლტოლვილები. საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა იმ პირობათ, თუ ლტოლვილთა სია შედგენილი და დამტკიცებული იქნება სომხეთისა და საქართველოს კონსულების ურთიერთ შეთანხმებით. არც ერთ ლტოლვილს არ ექნება საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენისა. ერთი შემთხვევაზე თუ იქნა შენიშნული ლტოლვილთა საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენისა, მაშინ სომხ-ლტოლვილთა გატარება სრულებით იქნება შეწყვეტილი.

მასწავლებელთა დელეგაცია მთავრობის თავჯდომარესთან.
29 ენკ. მთავრობის თავჯდომარეს მასწავლებელთა დელეგაცია წარუდგა. მთავრობის თავჯდომარემ მოისმინა რა დელეგაციის მოხსენება, აღუთქვა დაკმაყოფილება მასწავლებელთა შუამდგომლობისა, რომელშიც დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან.

ფრანგი ტრისტრიდან ბათუმამდე აწვულია ჩვენი „მეგობრებისაგან“ ტონზე 5-8 სტერლინგამდე. ეს აიხსნება საბაბით, რომ დააბრკოლონ საქართველოში გამოგზავნილი 30 მილიონის ღირებულები ჩეხური საქონელი, რადგან იქნება დაკლებითი კონკურენცია.

ფასების გადიდება ღვინოზე.
ღვინოზე ფასები ღლითა ღლე იზრდება, როგორც სხვა საგნებზე. გაჭირვებას საბაბი იყო მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ ფასების აწევა სახელმწიფო (ყოფ. საუფლისწულო) ღვინოებზე 180-230 მანეთამდე ბოთლზე (ერთი მეჩვიდმეტედი ვედრ.) და შამპანიურ ღვინოებზე 650-700 მ. ბოთლზე (ერთი მეთექვსმეტედი ვედ.) ხოლო კონიაკზე 400-800 მ. ბოთლზე (ერთი მეოცედი ვ.) კერძო მევენახეებმა ბოთლი ღვინო (1/11 ვ.) 150-200 მანეთით გააძვირეს, კონიაკზე კი მოუმატეს 300-400 მ. მიუხედავად ამისა ღვინო მაინც ღირდალი გადის განსაკუთრებით ბათუმში.

ზემოხსენებულ ფასებში კურკეღის ფასი არ არის შესული.

განკუთხი ინგლისელის.
სექტემბრის ოცდა ცხრას ლიუკსისა და სტოქსის პატივსაცემოდ გაიმართა საღილო რომელსაც დაესწრენ გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. საბახტარაშვილი, ინგლისის მისიის წევრები, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რაშივილი,

იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე, დამფუძნებელი კრების თავჯდომარის აშხ. ალ. ლომთათიძე, სამხ. საქმეთა მინისტრის აშხ. გედევანიშვილი, დამფუძნებელი კრების პრეზიდენტის წევრი ს. მდივანი და სხვები. საღილო საღამოს 7 საათზე დაიწყო და გაგრძელდა 11 საათამდე. პირველი სადღეგრძელო ფრანგულენაზე ა. საბახტარაშვილმა წარმოთქვა, საპასუხო სადღეგრძელოები სთქვეს ლიუკსა და სტოქსმა; საღამოს 11 საათზე საღილოზე დამსრულებმა ლიუკი გააცოცხეს სადღურზე. სადღურზე გამწვრივებული იყო საბატო ყარაფლი. სადღურზე გამოსახარო სიტყვა მის გენერალმა გედევანიშვილმა უთხრა.

აკონომიური საბჭო

დამფუძნებელი კრების დიდგენილების თანახმად შრომის სამინისტრო შეუდგა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ორგანიზაციის პროექტს შემუშავებას. პროექტის მიხედვით საბჭოსთან იქნება 3 განყოფილება: საფინანსო, სამრეწველო და სავაჭრო. ფინანსიური განყოფილების მიზანია ზომების მიღება საქართველოს რესპუბლიკის ფინანსიური მხარე უზრუნველსაყოფად და შემოქმედებითი ძალების განსავითარებლად, აგრედვე სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენა, გადასახადთა სისტემის რეორგანიზაციის მიხედვით, ერობათა და ქალაქთა თვითმმართველობის უფლებათა სფერის განსაზღვრა. ფულის ბრუნვის მოწესრიგება, სახელმწიფო და კერძო კრედიტის ნორმალურ მდგომარეობის აღდგენა, შემნახველ გამსესხებელ კასათა მოღვაწეობის სფეროს გაართობა. ფულის კურსის გამტკიცება. სავაჭრო ვაჭრობისათვის საქონლი რაოდენობის უცხო ვალუტის შექმნა, საშინაო და სავაჭრო სესხი და სახელმწიფოს საფინანსო მეურნეობის საერთო გეგმის შემუშავება, ფინანსიურ განყოფილების მიზანი იქნება სასწრაფო წესით ბიუჯეტის შესადგენად, ბონების გამოცემის შესაწყვეტლად და ფულის ბრუნვის მოსაწესრიგებლად კანონპროექტის შემუშავება. ამასთანავე შემუშავდება ემისიის საკითხი და სხვა საკითხები ეკონომიურ ცხოვრების მოწესრიგებასთან დაკავშირებული. აგრეთვე მიღებული იქნება მთელი რიგი ზომებისა სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად. ფინანსიურ განყოფილებასთან განზრახულია ფულის ბრუნვის, სახელმწიფო შემოსავლის და გასავლის, გადასახადების და სხვათა შესახებ სტატისტიკური განყოფილების დაარსება. განყოფილების მიერ შემუშავებული პროექტები საბჭოს წარედგინება გასახილველად.

ქართულ-გაგაღიანური დივიზიონი
(მეშედ ბეგ აბაშიძის მოხსენებიდან)
სამაჰმადიანო საქართველოს მეჯლისის თავჯდომარე მეშედ ბეგ აბა-

შიძე წარუდგა საქონ. მთავრობის თავჯდომარეს და სამაჰმადიანო საქართველოს მდგომარეობაზე მოხსენება. წარუდგინა მოგვყავს მოხსენების შინაარსი შემოკლებით: „ჯერ კიდევ 1918 წ. შემდგარ იქნა ქართველ მაჰმადიანთა დივიზიონი, რომელსაც განსაკუთრებული მიზნები ჰქონდა დასახული. 1919 წ. მთავრობამ დივიზიონში ბახშიბეგ მაჩბელიც ჩაურია.“

უკანასკნელმა კი თანაშემწედ გამოცდილი კავალერისტი მგალობლიშვილი მოიწვია.

ეს ორი პიროვნება არაფერს ჰზოგავდენ, რომ მალე შექმდარიყო სრული ესკადრონი.

მაგრამ ამ საქმეს ეღობებოდა მრავალი სირთულე და ის ანარქია, რომელიც მაშინ ჰსუფევდა. მაგრამ მათ არაფერი დაზოგეს საქმისთვის.

ინგლისელებმა რომ არტანის დასცალეს, მაშინ იქ მაჩბელი გაიგზავნა გამოსარკვევად, თუ ვისკენა ხალხის ნება-სურვილი.

ხალხი მაჩბელს აღფრთოვანებული შეჰხვდა.

მთელმა არტანის ოლქის ჩრდილო ნაწილმა სურვილი განაცხადა საქართველოს შემოერთებოდა. 5 ნოემბერს 1919 წელს მთავრობის განკარგულების თანახმად ამ რაიონში შედის ახლად შედგენილი მუსულმან ქართველთა დივიზიონი, რომელიც 80 ქვეითი ჯარის კაცი საგან შესდგებოდა ტყვიის მრეწველთა ერთი რაზმით, რომელიც დანიშნულ იქნა, არზებში, 11 ნოემბერს ჩამოვიდა. მთელი ახალციხე არტანის გზა დაკეტილი იყო და მოქმედება შეუძლებელი გახდა, რადგანაც მთელი ეს რაიონი ყაჩაღთა ბრბოს ექრა, 30-40 კაცამდე მცხოვრებთ თავზარა ჰქონდათ დაცემული.

მაგრამ მგალობლიშვილმა შესძლო ბრბოების განადგურება. ოლქის გაწმენდაში არაფერი დაზოგეს არც მგალობლიშვილმა, არც მაჩბელმა. ისინი უშიშრად მიდიოდნენ თოვლსა და ნაშქერში. მალე ოლქიც გასწმინდეს. ეს ამბავი მალე მეზობელ ოლქებსაც მოედო. შავშეთისა, არტანუჯისა და ართვანის მცხოვრებნი საქართველოსკენ გადმოიხარნენ. მათი რწმუნებულები ბახშიბეგ მაჩბლის შტაბში მიდიოდნენ და თბილისში თუ უცხოელთა მისიებში ითხოვდნენ საქართველოსთან შეერთებას.

მალე მეჯლისმა ასი კაციც მიიშველა ესკადრონს, ხოლო მაჩბელი და მგალობლიშვილი მთავრობამ წარჩინებით დააჯილდოვა.

დივიზიონმა დამტკიცა თავისი სურვილი, რომ სამაჰმადიანო საქართველო საქონისტიანო საქართველოს განუკუთვლ სხეულად დარჩენილიყო. მის მოქმედებას მუდამ აღფრთოვანებით აღნიშნავდა ხოლმე მთავარსარდალი. მან შესძლო ოლქში წესიერების შეტანა და მშვიდობიანობის დამყარება. დივიზიონის საქმე ჯერ კიდევ არ არის ამოშრტილი. სხვათა შორის ამ მოხსენების

მიზანი კიდევ ისიც იყო, რომ გამეზნა ის ათასნაირი ქორები და ცრუ ხმება, რაც ამ დივიზიონის გარშემო გაავრცელეს მტერ-მოყვარეების დაცვა და მის ზეღფეხის გამო მომავალ მოქმედებისათვის, — აი დედა აზრი ჩემის მოხსენებისა, რომელსაც, იმედია, უყურადღებოდ არ დასტოვებთ.

კორესპონდენცია. მიწარალური სიმდიდრანი ბარად-კახაბერი.

ნორიოს, მარტყოფის, უჯარმის და პატარძელის არე-მარეში ახალ-ახალი მიწერალა სიმდიდრე ჩნდება.

მარლი, გრანიტი, ოქრო... ნავთი, გლაუბერის მარილი და სხ. გაზეთები იუწყებიან, რომ ნავთზე მუშაობა უკვე დაიწეს ნორიოს მინდორში.

კარგი იქნებოდა ამასთანავე დაწყობილიყო მუშაობა ახალსოფლისა და უჯარმის მიდამოებში, რომელშიც ამ წლის წინედ დათვალისკეს პეტროგრაფელ პროფესორებმა და მრავალი საგულისხმია რამ აღმოჩინეს. გაქვავებული ზღვის ლოკოკინა პირველი მაჩვენებელია რომ აქ ნავთი უნდა იყოს. მათ ზოგან ბურღებიც დადგეს და ნავთი აღმოჩნდა. მრავალჯან ჰქონავე აქ ნავთი ზედაპირიდან.

ამ ადგილებს დიდი მომავალი აქვს, რადგან გარდა ღირებულ დაკროვილ სიმდიდრისა, იგი სულ რაღაც 30 ვერსით არი დაშორებული თბილისს.

ასევე სიხლოვე ხე ეს უნდა უწყობდეს, რომ ჩვენმა ინჟინრებმა და გეოლოგებმა იგი მალიშალ დათვალისკონ.

N.

ბათუმის ქალაქის საბჭოები
(24 სექტემბრის სხდომა)

სხდომა გაიხსნა ო. რაშივილის თავჯდომარეობით საღ. 7 საათზე დაესწრო 21 ხმოსანი წაიკითხეს ოქმები 10 სექტემბრის მორიგ სხდომისა და 14 სექტემბრის საზეიმო სხდომისა, ვერობის დელეგაციის მიხედვით რომ გაიმართა. ოქმები უცვლელად დაატკიცა საბჭომ.

საბჭოს მოხსენდა დროებითი ნუსხა თვითმმართველობის განყოფილებათა განაწილებისა გამგეობის წევრთა შორის.

უკანასკნელ შეფასების შემდეგ აშენებულ შენობათა შეფასება საბჭომ დაადგინა მოხდეს ისე, როგორც ეს მიუღია გამგეობას და საფინანსო კომისიას: რომ ქალაქის შემოსავალი ძალიან არ შემცირდეს ფულის კურსის დაცემის გამო, შეფასება უნდა გადიდებულ იქნას ახლანდელ გარემოებებთან შეფარდებით აგრედვე ახლო მომავალში უნდა დამტკიცებულ იქნას შეფასების ცნობათა ფურცლები, რომლებიც 1916 წლიდან დაუმტკიცებელი რჩებოდა ქალაქის გამგეობაში.

შრომის კამისარის თხოვნის თანახმად მომრავებელ კამერაში ქალაქის წარმომადგენლად საბჭომ აირ-

ჩიო ჯეპალ-ეფენდი ქიქავა და მის კანდიდატთა გ. ვ. ბოგდანოვი სა- რვეიზიო კომისიის სახელმძღვანე- ლოდ საბჭომ დასტოვა უწინდელი ინსტრუქცია. საბჭომ დააკმაყოფილა თანახმად გამგეობის და საფინანსო კომისიის წინადადებისა სამსახური- დან გასულ პირთა თხოვნები მათ- თვის სალიკვიდაციოს თუ ერთდრო- ულ დახმარების მიცემის შესახებ ამ რიგად: ხასან-ეფენდი ლორთქიფანი- ძეს და ა. ი. თოროსოვს (ყოფილ გამგეობის წევრებს), მივსეს თითოს 50 ათასი მანათი; რეჯებ-ბეგ ნიეა- რაძე (ყოფილ ქალაქის მოურავის მოადგილეს) შვიდი წლის ნამსახუ- რობის გამო—100,000 მან. და ბე- ითალ ბ. არხანგელსკის—34,560 მ. წერა-კითხვის საზოგადოების ქარ- თული სკოლა—ქალაქმა მიიღო თა- ვის გამგებლობა—უფლებამო და და- ამტკიცა მასწავლებელთათვის ჯამა გირები და სხვა ხარჯები, თანაბრად სხვა ბათუმის სკოლებში არსებულ ჯამაგირებისა და ხარჯებისა.

სხდომა 9 საათზე გათავდა.

ამასთან ერთად სამაზრო ერობებს შეუძლიათ.

1. შეაკეთონ ყველა პურის სა- რვეი მანქანები და ტრუკები, მო- მღებოც აგრარომიულ პუნქტებშია შეგროვილი და მიიღონ ყოველი სო- მა მათი ფართოდ სარგებლობისათ- ვის ახლო-მახლო მცხოვრებლების მი- ერ.

ზოგ ადგილებში მცხოვრებლები დარწმუნდნენ სათესლე მარცვლის გა- რჩევა-გაწმენდის აუცილებლობაში და ამისთვის დიდი რიგებში საწმენდ მანქანის სარგებლობისათვის.

ამისთანავე შეთხვევებში საჭიროა, რომ მანქანა მუშაობდეს განუწყვე- ტილად და მიეცით საშუალება, რომ მანქანით ისარგებლოს მცხოვრებთა უმეტესმა ნაწილმა.

2. იმ სათადარიგო შემოდგომის პერიოდს და ქერიდან, რომელიც შემოღვეთა ერობებს ღალის სახით უნდა გადაარჩეს უფრო კარგი ხარი- სხის მარცვლი.

3. თუ სათესლე მასალა საკმარი- სი არ არის ან უფარვისა უნდა მი- ლებულ იყოს ზომები მის სხვაგნ- დან შესაძენად. ერობებმა უნდა მხე- დველობაში იქონიონ, რომ უფრო საიმედოა სათესლე მარცვლის შე- ძენა ბუნებრივ პირობებით მზავის რაიონებში. აგრეთვე ურწყავი შამუ- ლისათვის არ უნდა ისარგებლონ საარწყავ მიწაზე მოსული ხორბლით. კერძოდ, ქუთაისის გუბერნიისათვის და აფხაზეთისათვის, სადაც ჰიბრა- ხული მალე გადაგვარდება ხოლმე, სა- თესლე მარცვლი უნდა შეიძინონ ქართლის დასავლეთ ნაწილში (კო- მის რაიონი).

თავის მხრით მიწათ მოქმედე- ბის სამინისტრო ერობათა გამგე- იობებს მისცემს ამისთვის საჭირო ცნობებს და გაუწევს დახმარებას:

1. გაწმენდილი პურის მიცე- მით იმ სათადარიგოდ, რომელიც მას აქვს და იმ შემთხვევით და- რთვლასაც მიიღებს სახელმწიფო მამულებიდან.

2. მისცემს უფლებას გასაწმენდ მანქანებით სარგებლობისას, რო- მლებიც სახელმწიფო მამულებ- ში, დაეხმარება სათესლე მასა- ლის შესყიდვაში, მის გამოტანა- ში და რკინის გზებზე დაუბრკო- ლებლად გადატანაში.

და 3. ხორბლის დეზინფექცი- ის (протравливание зерна) მოწყობით იმ რაიონებში, სადაც მეტად გავრცელებულია გულდფუ- ტა (ГОЛОВНЯ).

მათავრობის და ადგილობრივ ორ- განიზაციების შეერთებული ძალე- ბით უნდა იყოს მიღებული ყოველ- გვარი ზოშითა მიწის მოსავლიანო- ბის და მოსავლის ხარისხის გასაუმ- ჯობესებლად.

რესპუბლიკის ეკონომიური კეთილ დღეობა ბევრათ არის დამოკიდე- ბული აღნიშნულ ზომების შესრუ- ლებაზე. სრულ იმედს გამოვსთქვამ რომ ერობები სათანადო ყურად- ლებით მოექცევიან წამოყენებულ საკითხს და არ დაზოგავენ თავის ძალ-ღონეს, რათა ხალხი უზრუნ- ველყოფილი დარჩეს საქმის სურ- სათით.

სოციალ-დემოკრატიის „პროლეტარობა“

იყო დრო და დიდი ხანიც არაა მას შემდეგ, როდესაც ჩვენი სოციალ- დემოკრატები დაიწყებთ და რიხი- ანათ ხმა მალეა მოუწოდებდნენ უმი- წაწყლო ბედისგან დაჩაგრულ ხა- ლხს, ეგრეთ წოდებულ „პროლეტა- რებს“: „პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდითო!“ აი ასეთი მოწოდებით მიბრუნდნენ მათ და გა- რეგანი შეხედულობით მთელი მათი თანაგრძნობა და სიმპათია ვითომ მი- ქვეული იყო ამ ბედკრული ხალხი- სკენ და ესენი თითქო მათი განუ- შორებელი ძმები და ახსნაგები იყ- ვენ ქირში და შავლდში, მგრამ სანამდღღემ ცხადა დაგვანახვა, რომ სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუაში სძვეს დიდი ზღვარი; ზემო ნაჩვენები მოწოდება მხოლოდ და მხოლოდ მშრალ ლიტონ სიტყვებად დარჩენ და საქმით კი არაფითარი თანაგრძნო- ბა და არაფითარი სიბრალული მათ- კენ აღარ აქვსთ მიპყრობილი, თი- თქო სულ დაიფიწყის დაჩაგრული ძმები და აღარცსცალიან მათი მზრუ- ნველობისათვის. თუმცა „პროლეტა- რები“ ჩვენში ან სულ არ არიან და თუ არიან, ისიც ძალიან ცოტა, მა- გრამ მთელ ქვეყანაზე კი ბევრი აღმო- ჩნდებიან. ამნაირათ, სოციალ-დემო- კრატები წინანდელი რიხი რუხით და ხმაშლია ველარც კი ბედავენ და ვერც არხერხებენ მათ მოწოდებას: „პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შე- ერთდითო“. რა არის ამის მიზეზი, ან რამ ჩამოაშორა სოციალ დემო- კრატები პროლეტარებს? ამისი თავი და თავი უმთავრესი მიზეზი არის ის უტყუარი ფაქტები, რომ სოციალ- დემოკრატიული პარტია ანუ „შენ- შევიკები“ დღეს ჩვენში გაბატო- ნებული პარტია არის, რომელიც ყოველისგან საქმეებში შეთავრობს და მდიდურაბს. სოციალ-დემოკრა- ტები შენ შევიკები დღეს ცალმხრივი- ბას აღვიან: რომ ნივთიერათ სულ მეტი და მეტი შეიძინონ და უზრუ- ნველ ყოფილი გხადონ თავისი თა- ვი თანამედროვე ცხოვრებაში, ისინი თავისი თავისთვის თითონვე ქმნიან სამსახურის ადგილებს, თითონვე მო- იკალათეს თბილ-თბილ ადგილებში.

გარეშეთათვის ბევრაც რომ ჰქინ- დესთ ადგილი, თავს არ იჩინებენ, თავისიანებისთვის კი ადვილიც რომ არ ჰქონდეთ, ძალიან იმეორებენ რაიზე ადვილს, ძალიან იმეორებენ რაიზე თანამედრობას, მხოლოდ საკ- მარისი დაარწმუნო ისინი თუ საქ- მით არა, სიტყვით მაინც, რომ შენ ნამდვილი სოციალ-დემოკრატი ხარ და არა სხვა პარტიის, ან სხვა მიმა- რთულებისა...

აქ უნებლიეთ მაგონდება რუსეთის ძველი მთავრობის ერთი უკუღმარ- თი ტაქტიკა: ჩვენში გაბატონებული რუსები თვით ჩვენ საშობლო ქვე- ყანაშიაც არ აძლევდენ სამსახურს იმ ქართული ინტელიგენციის ნაწილს, რომელიც თავისი საშობლო სიყ- ვარულით და ერთგულობით იყო გატაცებული და რომელსაც მხო- ლოთ თავისი ეროვნული უყვარდა და თავისი წასული და აწყყო მო- წონდა; დღესაც რომ დავაკვირდეთ- ზოგიერთები ჩვენი ინტელიგენტე- ბი ისეთსავე შევიწროებას განიცდი- ან სამსახურში მიღების დროს, რო- გორც უწინ, თუ ისინი სოციალის- ტები არ არიან...

ამნაირათ, სოციალ-დემოკრატებმა ძალიან ისარგებლეს ამ რევოლიუ- ციით, გუშინდელი ღარიბები, დღეს უკვე შეძლებული და უზრუნველყო- ფილი არიან და სიფულებში რომ აღარ კადრულობენ შეგ-მუშაობას და სოფლოურ ცხოვრებას ქალაქებ- ში უაღულობენ და აქნენ სახლე- ბსა და ადგილ-მამულს და იგინი დღეს თათქმის მილიანათ შეადგე- ნენ ბურჟუაზიულ კლასს და აბა მი- ბრძანდეთ, რაღა ძმობა, ერთობა და ამხანაგობა ექნებათ მათ პროლეტა- რებთან? სრულ ბედში მყოფთ ბე- დისგან დაჩაგრული არ ებრალებათ ამიტომაც სოციალ-დემოკრატებსა და პროლეტარებს შორის გაღებული ხილი უკვე ჩატყდა და ამის შემდეგ რომ მათ პროლეტარებს მოუწო- ლონ, ეს იქნება თვალის ახვევა და და მოტყუება...

ბ. ქიათურელი.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: გრ. ვეშაპელი სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელოქ., 3.

კორესპოდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მუდმივად აწილიან რედაქციას წერილებს პროგრესის (ლო- ფლესა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი კორესპოდენტები უნდა იყოს მოკლე და აწერებოდეს ნამდვილი ცნობე- ბის, ფაქტების შესახებ.

გასაკრავლის მიმოსვლა

თფილისიდან მიდის		თფილისში მოდის	
ბორჯომამდის № 17	7. 52	ბორჯომიდან № 20	12. 30
ბორჯომში ჩადის	2. 09	თფილისში მოდის	6. 37
ფოთამდის № 3	9. 56	ქუთაისიდან № 12	11. 47
ფოთში ჩადის	10. 20	თფილისში მოდის	9. 30
ბორჯომამდის № 19	2. 30	ბათუმიდან № 6	11. 00
ბორჯომში ჩადის	8. 00	თფილისში მოდის	12. 12
ბათუმამდის № 17	8. 00	ბათუმიდან № 8	3. 50
ბათუმში ჩადის	9. 00	თფილისში მოდის	7. 44
ბათუმამდის № 5	11. 44	ფოთიდან № 4	8. 25
ბათუმში ჩადის	11. 27	თფილისში მოდის	7. 47
თელავამდის	8. 30	თელავიდან	7. 00
ქუთაისამდის № 9	9. 50	სხანაიდან	11. 30
ქუთაისში ჩადის	6. 00	სად-ოღაიდან	4. 25
სხანამდის	1. 40		
სალოლიამდის	10. 10		